განათლების კომიტეტის

2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა

ზოგადი ინფორმაცია:

საქართველოს კერძო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და აუდიტის პრაქტიკის დანერგვისათვის აუცილებელი იყო შესაბამისი საგანმანათლებლო პოლიტიკის ფორმირება და მისი შედეგიანობის გათვლა, ამისათვის ბაფის განათლების კომიტეტში შემუშავდა მრავალწლიანი სამუშაო გეგმა, მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები და განათლების სისტემაში შედეგმაც არ დააგვიანა.

გატარებული ღონისძიებების შედეგად კომიტეტში ჩამოყალიბდა თანამედროვე სერტიფიცირების პროგრამები, ასევე მიღბული იქნა გადაწყვეტილება იმის თაობაზე რომ რეფორმების პროცესი და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა მოითხოვდა პროფესიონალი კადრების მომზადებას. ამ მიზნით ბაფში მიღებული იქნა გადაწყვეეტილება ACCA-ის (ინგლისისა და უელსის ნაფიც ბუღალტერთა ინსტიტუტი) საერთაშორისო პროგრამის დანარგვის შესახებ, რისთვისაც განათლების კომიტეტის მიერ:

1. შემუშავდა და ჩამოყალიბდა სერტიფიცირების პროგრამა;
2. შემუშავდა სახელმძღვანელოების მომზადების, პერიოდული განახლების და გამოცემის სტრატეგიული ხედვები;
3. დადგინდა მისაღები კონტიგენტის კომპენტეციის მოთხოვნები;
4. შემუშავდა სავალდებულო გაგრძობითი სწავლების პროგრამის განსაზღვრის და შემდგომი დამტკიცების მექანიზმები.

წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობით, განათლებისა და სერტიფიცირების პროცესების მართვაში მიღებულია საუკეთესო გამოცდილება და პრაქტიკა.

მიმდინარე საქმიანობა

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის განათლების კომიტეტი არის სასერტიფიკაციო პროგრამის და განგრძობითი განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი, სათანადო შიდა რეგულაციების შემქმნელი და მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო.

კომიტეტთან ფუნქციონირებს სასერტიფიკაციო მუდმივმოქმედი საგამოცდო კომისია 5 პირის შემადგენლობით, რომელსაც ხელმძღვანელობს კომისის თავმჯდომარე. საგამოცდო კომისის ფუნქციები განსაზღვრულია დებულებით.

ბაფის განათლების კომიტეტი საქმიანობას ახორციელებს ფუნქციური საბჭოების, როგორც სტრუქტურული რგოლების მეშვეობით, ეს საბჭოებია:

ა) სასერტიფიკაციო გამოცდების სამეთვალყურეო საბჭო;

ბ) სასერტიფიკაციო პროგრამის სამეთვალყურეო საბჭო

გ) განგრძობითი განათლების სამეთვალყურეო საბჭო.

კომიტეტისა და მისი შესაბამისი სტრუქტურული რგოლების ერთობლივი საქმიანობით, შემუშავებულია და მოქმედებაშია:

ა) საგამოცდო ტესტების ავტორებისათის განკუთვნილი მითითებები;

ბ) კომპეტენციაზე და გამოცდილებაზე დაფუძნებული საგამოცდო კითხვების მოსამზადებელი ინსტრუქცია;

გ) ტესტების შემუშავების სამუშაო პროცესის ახალი ინსტრუქცია;

დ) ავტორების რიცხოვნობის გაზრდის შედეგად მოსალოდნელი რისკის დაზღვევის მიზნით, დადგენილია საგამოცდო კითხვებისა და ტესტების გაუთქმელობის და შენახვის ახალი წესები.

ე) სასერტიფიკაციო პროგრამებისათვის შექმნილია საგამოცდო ტესტებისა და კითხვარების მცირე ბანკი.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად გაზრდილია საგამოცდო ტესტების ავტორების, მიმომხილველებისა და კვალიფიციური შემფასებლების რიცხოვნობა.

საგამოცდო პროცესებზე დაკვირვებისა და ზედამხედველობის განსახორციელებლად, ასევე პოტენციური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, საგამოცდო ცენტრში დამონტაჟებულია ვიდეო კამერები, შემუშავებულია ვიდეო აღჭურვილობის გამოყენების წესები; მთავარი ზედამხედველის მოვალეობებში შეტანილია შესაბამისი ცვლილები.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს პერიოდულად წარედგინება განახლებული სრული სასერტიფიკაციო პროგრამა (ბოლო განახლებული პროგრამა წარდგენილია 2023 წლის იანვაში), რაც გამოწვეულია სასერტიფიკაციო სასწავლო ლიტერატურაში შეტანილი ცვლილებებით.

კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2023-2024 წლებში

ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების და სრული სასერტიფიკაციო პროგრამის საგამოცდო პროცესის განვითარების სამოქმედო გეგმით, განათლების კომიტეტი მისივე მოქმედი საბჭოების აქტიური საქმიანობის საფუძველზე 2023-2024 წლებში გეგმავს რომ განახორციელოს შემდეგი აქტივობები:

1. **წესდებითა და კომიტეტის დებულებით გათვალისწინებული საქმიანობა**

	დაგეგმილი ღონისძიება	შესრულების ვადა	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1.	კომიტეტის სხდომები	სხდომები ჩატარდება პერიოდულად, გაფორმდება სხდომის ოქმები და დაარქივდება	კომიტეტის თავმჯდომარე	სხდომების ჩატარების კონკრეტული თარიღი დამოკიდებული იქნება განსახილველ საკითხებზე
2.	2023-24 წლების სერტიფიცირების პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი	პერიოდულად, მინიმუმ წელიწადში ორჯერ.	კომიტეტის და შესაბამისი საბჭოს თავჯდომარე (განათლების კორდინატორი)	კომიტეტის მიერ გატარდება მონიტორინგის შესაბამისი ღონისძიებები
3.	სერტიფიცირების პროცესის შედეგების მიხედვით სერტიფიკატების მომზადება და გადაცემა	პერიოდულად, მინიმუმ წელიწადში ორჯერ.	განათლების კომიტეტის თავმჯდომარე და ადმინისტრაცია.	კომიტეტის მიერ გატარდება შესაბამისი მომზადების

			(განათლების კორდინატორი)	ღონისძიებები
4.	2023-2024 წლების განგრძობითი სწავლების თემატიკის გამოკვლევა, შესწავლა და დამტკიცება.	ბაფის წევრების მოსაზრებების შესწავლა გამოკვლევა მოხდება საანგარიშო წლის 1აპრილამდე.	განათლების კომიტეტის თავმჯდომარე და ადმინისტრაცია. (განათლების კორდინატორი)	მომზადდება და წევრებს დაეგზავნე-ბა თემატური კითხვარი.
5.	2023-2024 წლების განგრძობითი სწავლების პროგრამის .	განგრძობითი სწავლების თემატი-კის მომზადება და ზედამხედველობის სამსახურში დასამტკიცებლად გადაგზავნა საანგარიშო წლის 1-მაისამდე.	განათლების კომიტეტის თავმჯდომარე. ბაფის ადმინისტრაცია. (განათლების კორდინატორი)	მომზადდება და ზედამხედველობის სამსახურს დაეგზავნება შემუშავებული და განხილული პროექტი.
6.	განგრძობითი სწავლების შედეგების გამოკითხვის შედეგების ანალიზი	საანგარიში წლის 31იანვრამდე	განათლების კომიტეტი. ბაფის ადმინისტრაცია. (განათლების კორდინატორი)	გამოკითხვის შედეგები რელევან-ტური იქნება განგრძობითი სწავლების შეფასებისათვის.
7.	მთ. ბუღალტრის სერტიფიცირების პროგრამის კონცეფციის განხილვა და იმლემენტაციის საკითხები	2023 წლის მარტი - სექტემბერი	○ განათლების კომიტეტის თავმჯდომარე. ○ ბაფის ადმინი-სტრაცია. ○ საგამოცდო კომისია.	საკითხის გამოკვლების შედე-გები რელევანტური იქნება პროგრამის უზრუნველყოფის შემთხვევაში.
8.	სხვადსხვა სემინარების შესაბამისი კომიტეტებთან შეთანხმებით ჩატარება	პერიოდულად, მინიმუმ წელიწადში 4-5 ჯერ	განათლების კომიტეტი. მოწვეული ლექტორები.	ღონისძიებები გატარდება შესაბამისი პერიოდულობით.
9.	სხვასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე.	პერიოდულად, საანგარიშო წლების განმავლობაში	განათლების კომიტეტი. მოწვეული ლექტორები.	ბაფის შესაბამისი კომიტეტები და სტრუქტურები.

2. თემატური სემინარები/ტრენინგები 2023-2024 წლებში

განათლების კომიტეტში დასახული მიზნების მისაღწევად, გარდა პროფესიული სერტიფიცირების სფეროში დაგეგმილი ღონისძიებებისა, ძალიან მნიშვნელოვანია მიმდინარე პერიოდში, სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სტანდარტების სფეროში, ასევე პროფესიული ეთიკის კოდექსის, საგადასახადო დაბეგვრის, ხარისხის კონტროლის სტანდარტთან დაკავშირებული ყველა პროფესიონალური სიახლე, განიხილონ გააცნონ ბაფის წევრებსა და განათლების სისტემაში ჩარტულ პრედენდენტებს.

განათლების კომიტეტში მთ. ბუღალტრის სერტიფიცირების პროგრამის საკითხის აქტივიზაციის და შემდგომი პროცედურების სწორად და ეფექტიანი მართვისათვის ზრუნვა და მომზადება, ბაფის ადმინისტრაციასთან ერთად შესაბამისი პროგრამის და ლიტერატურის შექმნა და სამუშაო შემინარების ორგანიზება.

განათლების კომიტეტის მუდმივი ზრუნვისა და გაახლების პირობებისათვის სამუშაო გეგმაში შემდგომ საანგარიშო პერიოდშიც აქტუალური იქნება შემდეგი თემატიკა, კერძოდ:

1. ბაფის გამგეობის მიერ განათლების კომიტეტის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელება და მათი სრულყოფილი აღსრულება;
2. პროფესიული განათლების, აგრეთვე, პროფესიული სერტიფიცირების პოლიტიკისა და პროცედურების მუდმივ სრულყოფას;
3. ბუღალტერთა გადამზადებისა და უწყვეტი განგრძობითი განათლების პროგრამების მომზადება და იმპლემენტაცია;
4. განათლების კომიტეტი და საგამოცდო კომისია სასერტიფიკაციო პროგრამისა და სასერტიფიკაციო საგამოცდო პროცესის სრულყოფა;
5. სერტიფიცირების გამოცდების მიღება და შედეგების აღიარება;
6. სერტიფიცირების პროგრამის საგამოცდო ტესტების პერიოდული დახვეწისა და ცვლილების აუცილებლობის დადგენის მიზნით, სერტიფიცირებული ბუღალტრის დამსაქმებელთა მოთხოვნების შესასწავლად და დასაკმაყოფილებლად, პერიოდულად ჩატარდება აუდიტური ფირმებისა და სხვა დამსაქმებლების გამოკითხვა.
7. ბაფის განათლების კომიტეტი და ადმინისტრაცია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის № ნ-16 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის 24-ე მუხლის მიხედვით, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებებით საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირისათვის გააგრძელებს სასერტიფიკაციო მიმართულებებით ჩათვლების მიმნიჭებელი კომისიის საქმიანობას.
8. პროფესიული ორგანიზაციებისა და მსხვილი აუდიტორული კომპანიების წარმომადგე-ნელთა ერთობლივი თანამშრომლობით, ბაფის 2023-2024 წლების განგრძობითი განათლების პროგრამის პროექტების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურზე დასამტკიცებლად გადაცემა.

განათლების კომიტეტის

თავმჯდომრე:

კ. დათიაშვილი